

# სამართლის სკოლა

## სამართლის სამაგისტრო პროგრამა

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: მაგისტრატურა (II საფეხური)

სწავლების ენა: ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

მიმართულება: სამართალი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის მაგისტრი (Master of Law)

სწავლის ხანგრძლივობა: 4 სემესტრი

სამაგისტრო პროგრამის მოცულობა: 120 ECTS კრედიტი

სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სამართლის ბაკალავრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება; გამოცდის ჩაბარება უცხო ენასა (ინგლისური, B2 დონე) და სპეციალობაში.

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი გიორგი გოგიაშვილი

### სამაგისტრო პროგრამის მიზანი

სამართლის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტი; მაგისტრანტს შესძინოს კერძო, საჯარო ან სისხლის მიმართულებით ღრმა და სისტემური ცოდნა. გამოუმუშავოს პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები; ხელი შეუწყოს დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევისათვის საჭირო უნარების განვითარებას; მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი კადრი.

## სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

სამაგისტრო პროგრამა	120 კრედიტი. მათ შორის:
სავალდებულო კომპონენტები:	70 კრედიტი:
• აკადემიური წერა იურისტებისათვის	10 კრედიტი
• პრაქტიკული კომპონენტი	30 კრედიტი
• სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა	30 კრედიტი
არჩევითი კომპონენტები:	მინიმუმ 50 კრედიტი
• არჩევითი სასწავლო კურსები.	

### სწავლის შედეგები

სამაგისტრო პროგრამით დასახული მიზნების თანმიმდევრული და სრულფასოვანი განხორციელება უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურის) კვალიფიკაციათა აღმწერის და სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის სათანადო დონით:

<b>ცოდნა და გაცნობიერება</b>	<p><b>სტუდენტს აქვს:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სამართლის სფეროში (კერძო, სისხლის ან საჯარო მიმართულებით) არსებული სამართლის პრინციპების, ინსტიტუტების, თავისებურებების ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც მაგისტრს აძლევს სამართლის სფეროში დასმული კომპლექსური პრობლემების გააზრებისა და გადაწყვეტის და მათი გადაჭრის გზების განსხვავებული და ახლებური ხედვის ჩამოყალიბების შესაძლებლობას;</li> <li>• კონკრეტული ფაქტის გამოკვლევის იურიდიული მეთოდების, კონკრეტული ფაქტის მომწესრიგებელი ზოგადი იურიდიული ნორმის შერჩევის მეთოდების (კანონის ახსნა-განმარტების ხერხების, პრეზუმფციის, ფიქციის), სამართლებრივი ღირებულებების პოზიციიდან ფაქტის ინტერპრეტაციის ცოდნა;</li> <li>• შეუძლია კერძო, სისხლის ან საჯარო მიმართულებით სამართლებრივ სივრცეში არსებული ფუძემდებლური საწყისების შეცნობა, რომლებიც განსაზღვრავენ შესაბამისი მიმართულების დარგების, ცალკეული ინსტიტუტების სიღრმისეულ არსს და მნიშვნელობას;</li> </ul>
------------------------------	--

	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია სამართალწარმოების ამოცანები წარმატებით გადაწყვეტაზე ორიენტირებული უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი იდეების, სახელმძღვანელო დებულებების გააზრება და სხვა.</li> </ul>
<p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p>	<p><b>სტუდენტს შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პრობლემების კომპლექსური შეფასება და პრობლემის გადასაჭრელად ორიგინალური გზების შემუშავება.</li> <li>• კერძო, სისხლისა ან საჯარო მიმართულებით სამართლის პრინციპების, ინსტიტუტებისა და ნორმების დრმა და სისტემური ცოდნის გამოყენება როგორც კვლევითი, ისე პრაქტიკული ხასიათის კომპლექსური პრობლემების გადასაჭრელად;</li> <li>• კერძო, სისხლის ან საჯარო მიმართულებით სამართლის ინსტიტუტების განვითარების არსებული მდგომარეობის შეფასება მათი შედარებითი ანალიზის შედეგების გათვალისწინებით და, საზოგადოებრივ ურთიერთობათა დინამიკური განვითარების ფონზე, მათი შემდგომი სრულყოფის გზების შემუშავება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირება, ახსნა და დასაბუთება;</li> <li>• კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში დასმული თეორიული თუ პრაქტიკული ხასიათის პრობლემების კომპლექსური და მრავალმხრივი შეფასება სამართლებრივი დებულებების სწორი ინტერპრეტაციისათვის მორგებულად შერჩეული მეთოდების თუ ტელეოლოგიური განმარტების გამოყენებით და პრობლემების გადაწყვეტის მისეული, ორიგინალური ხედვის შემუშავება და შედეგების გადამოწმება.</li> </ul>
<p><b>დასკვნის უნარი</b></p>	<p><b>სტუდენტს შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სამართლის სფეროსათვის (კერძო, სისხლის ან საჯარო მიმართულებით) დამახასიათებელი მონაცემების, რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი და შესაბამისი დასკვნის გამოტანა;</li> <li>• საქართველოსა და სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში ახლებური საკანონმდებლო რეგლამენტაციის, სასამართლო პრაქტიკის ნოვაციების, თანამედროვე კონცეპტუალური მიდგომების განზოგადებული ანალიზი და შესაბამისი დასკვნის გამოტანა;</li> <li>• სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერული მიდგომების პირობებში, ცვლილების ანალიზი და აქედან გამომდინარე დასკვნის ჩამოყალიბება;</li> <li>• ნორმატიული ბაზის, სამეცნიერო პუბლიკაციების და სასამართლო პრაქტიკის სიახლეების ანალიზის საფუძველზე მოპოვებული ინფორმაციის</li> </ul>



	<p>ინოვაციური სინთეზი და სამართლის ინსტიტუტების შემდგომი განვითარების პროგნოზების შემუშავება და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სამართლის სფეროში (კერძო, სისხლის ან საჯარო მიმართულებით) სამართალშემოქმედებისა თუ სამართალშეფარდების, ასევე კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესში წამოჭრილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე მათი გამომწვევი მიზეზების დადგენა და ამ უკანასკნელთა აღმოფხვრის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების შესახებ არგუმენტირებული დასკვნის გამოტანა.</li> </ul>
<p><b>კომუნიკაციის უნარი</b></p>	<p><i>სტუდენტს შეუძლია:</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან საქმიანი კომუნიკაციის დამყარება ქართულ და უცხოურ ენებზე როგორც წერითი, ისე ზეპირი ფორმით;</li> <li>• სამართლებრივი შინაარსის დოკუმენტების შედგენა, სხვადასხვა სახის პრეზენტაციების მომზადება, დისკუსიაში ჩართვა დაინტერესებულ პირებთან ქართულ და უცხოურ ენებზე;</li> <li>• სამუშაო, მათ შორის ინტერდისციპლინური, ჯგუფის წევრებთან კომუნიკაცია - სამუშაოს მიზნების და ამოცანების გამოკვეთა, მოსალოდნელი შედეგების აღწერა, საჭიროების შემთხვევაში ტრენინგების ჩატარება, შესრულებული სამუშაოს შეფასება, სათანადო ღონისძიებების გატარება და კონფლიქტური სიტუაციების მოგვარება კომუნიკაციის გზით.</li> </ul>
<p><b>სწავლის უნარი</b></p>	<p><i>სტუდენტს შეუძლია:</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დამოუკიდებლად მოახდინოს შეძენილი თეორიული ცოდნისა და მიღებული პრაქტიკული გამოცდილების სინთეზი;</li> <li>• ასევე სამართლის სფეროში (კერძო, სისხლის ან საჯარო მიმართულებით) მოქმედი პირველადი წყაროების, განხორციელებული სამეცნიერო კვლევებისა და მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებული ანალიზი;</li> <li>• სამართლის სფეროში დანერგილი ინოვაციური მიდგომების და მოწინავე გამოცდილების გაზიარება, უახლესი მონაცემებისა და ინფორმაციის დამოუკიდებლად ათვისება;</li> <li>• სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და საკუთარი სწავლის სტრატეგიულად დაგეგმვა;</li> <li>• დამოუკიდებლად ცოდნის და კომპეტენციების სრულყოფა და მუდმივი განახლება, სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა;</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>• შემდგომი (დოქტორანტურაში) სწავლის საჭიროებების ობიექტურად განსაზღვრა.</li> </ul>
ღირებულებები	<p><b>სტუდენტს აქვს:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პატივისცემის გრძნობა ეთიკური და სამათლებრივი ნორმებისადმი;</li> <li>• პროფესიული და პიროვნული პასუხისმგებლობების გრძნობა;</li> <li>• მხარეთა ინტერესების სამართლიანი დაბალანსების მისწრაფება და, აქედან გამომდინარე, არსებული სამართლებრივი ღირებულებების ანალიზი;</li> <li>• პირთა შორის სამართლებრივ ურთიერთობაში, დავის სასამართლო გადაწყვეტის დროს კეთილსინდისიერების მნიშვნელობის ადეკვატური შეფასება და გათვალისწინება პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას.</li> </ul>

### ცოდნის შეფასების სისტემა

მაგისტრანტთა მიღწევების/ცოდნის შეფასება სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კომპონენტების მიხედვით:

#### სასწავლო კურსები:

სასწავლო კურსების შესწავლისას მაგისტრანტის გაწეული შრომის შემაჯამებელი შეფასება ითვალისწინებს ორ ძირითად შემადგენელ ელემენტს - შუალედურ შეფასებას და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. თითოეულ ელემენტს აქვს თავისი პროცენტული წილი/ხვედრითი წონა შეფასების საერთო სისტემაში:

- სასწავლო კურსის შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად (ზეპირი/წერიითი გამოცდა, ზეპირი/წერიითი გამოკითხვა, პრაქტიკულ/თეორიული სამუშაო და სხვა), რომელიც შეიძლება აერთიანებდეს შემდეგ მეთოდებს: ტესტი, ესსე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალებების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა და სხვა.
- შუალედური გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 30 ქულა;
- დასკვნითი გამოცდა ფასდება მაქსიმალური 40 ქულით; დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია ჩატარდეს ზეპირი ან წერილობითი ფორმით. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა მაგისტრანტს, რომელსაც შუალედური შეფასებებით დაუგროვდა არანაკლებ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდის ჩაბარება სავალდებულოა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ მაგისტრანტი დააგროვებს ამ კომპონენტისათვის გათვალისწინებულ მაქსიმალურ ქულათა 50 %-ს;



- შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წონა ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში.
- ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია მაგისტრანტებისათვის.

### **პრაქტიკა:**

პრაქტიკის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. მაქსიმალური დადებითი შეფასება შეადგენს 100 ქულას, დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა. პრაქტიკა ფასდება შემდეგი კომპონენტებით:

- I. შუალედური შეფასება - პრაქტიკის ანგარიში წერილობითი ნაშრომის სახით – მინ. 21 ქულა- მაქს. 60 ქულა;
  - II. დასკვნითი შეფასება - ზეპირი პრეზენტაცია - პრაქტიკის ანგარიშის დაცვა – მინ.20 ქულა- მაქს. 40 ქულა.
- I. პრაქტიკის ანგარიშის შუალედური შეფასება მრავალკომპონენტიანია და ითვალისწინებს:

#### **შესავალი - 10 (მაქს. ქულა)**

- გადმოცემულია პრაქტიკის მიზნები;
- დაწესებულების აღწერა - ქმნის მკაფიო წარმოდგენას დაწესებულებაზე, მის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე, საქმიანობის სფეროზე და პროფილზე, ძირითად მომხმარებლებზე, დაწესებულების მართვის სტრუქტურაზე.

#### **ძირითადი ნაწილი - 20 (მაქს. ქულა)**

- პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის აღწერა-ანალიზი;
- პრაქტიკის დროს შესრულებული სამუშაოს და შესწავლილი საკითხების შესაბამისობა პრაქტიკის მიზნებთან;
- შესაბამისი მაგალითების მოყვანით მიღწეული შედეგების აღწერა (ცოდნის შექმნა, განვითარებული კონკრეტული კომპეტენციების და უნარების ჩამოთვლა და აღწერა, წარმატებული პრაქტიკული საქმიანობისთვის მათი მნიშვნელობის ადეკვატური შეფასება და ა.შ.);
- სტუდენტის მიერ დანახული პრობლემები და ამ პრობლემების შეფასება, თეორიაზე დაყრდნობით შეძლებისდაგვარად გადაწყვეტის გზების ჩვენება;
- პრაქტიკის მნიშვნელობა სტუდენტის მომავალი საქმიანობისთვის.

#### **დასკვნები - 20 (მაქს. ქულა)**

- მოიცავს პრაქტიკიდან მიღებულ ძირითად დასკვნებს;
- დასკვნები არგუმენტირებული და ლოგიკურია;
- სტუდენტის პოზიცია შეჯამებულია, ჩანს სამომავლო გეგმები და ხედვა.

**დანართი (გრაფიკები, ცხრილები, სურათები, სლაიდები და ა.შ.) - 10 (მაქს. ქულა)**

- რელევანტურია და შეესაბამება პრაქტიკის ანგარიშის შინაარსს, ხელს უწყობს ანგარიშში აღწერილი ფაქტების დასაბუთებასა და ილუსტრირებას.

**II. პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაცია დასკვნითი შეფასება ითვალისწინებს ორ კომპონენტს:**

**შინაარსობრივი მხარე - 20 (მაქს. ქულა)**

- პრაქტიკის ანგარიშის, პრაქტიკის შედეგების პრეზენტაცია;
- არგუმენტებისა და ფაქტების მოშველიება;
- ძირითადი საკვანძო საკითხების შერჩევა;
- პრაქტიკასთან მიმართებაში თეორიული ცოდნის დემონსტრირება;
- პროფესიული ენით საუბარი;
- შეკითხვებზე დამაჯერებლად, არგუმენტირებულად პასუხი;

**პრეზენტაციის ტექნოლოგია - 20 (მაქს. ქულა)**

- რეგლამენტის დაცვა;
- კონტაქტი აუდიტორიასთან;
- თემასთან ადეკვატური სლაიდ შოუ და ვიზუალური მასალა;
- აკადემიური მეტყველება;
- პროფესიული ენით საუბარი.

**კვლევითი კომპონენტი-სამაგისტრო ნაშრომი:** სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით) მაქს. 100 ქულა. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესი და პირობები მოცემულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების და დაცვის დებულებაში და ხელმისაწვდომია მაგისტრანტებისათვის.

**მაგისტრანტების მიღწევათა/ცოდნის შეფასების ზოგადი წესი:**

უნივერსიტეტში შემოღებულია სტუდენტთა (მაგისტრანტთა) შეფასების 100-ქულიანი სისტემა. შეფასებათა მაქსიმალური ჯამური ქულა უდრის 100 ქულას, ხოლო მინიმალური 51ქულას.

**შეფასების სისტემა კვლევითი კომპონენტისათვის (სამაგისტრო ნაშრომი)**

სისტემა უშვებს:

- ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ( A ) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- ( B ) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- ( C ) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- ( D ) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- ( E ) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) - მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში - 41-50 ქულა
- (F) მაგისტრანტი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას - 0- 40 ქულა

